



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 40 თეთრი

უფასო პოლიტიკური რეკლამა

უფასო პოლიტიკური რეკლამა

მერაბ ჭანუყვაძე - ოზურგეთის თემის გამგებელი



ცეცხლოვ გამოაქვეყნა №60 ოზურგეთის ოლქში თემების გამგებლის არჩევნების შედეგები, რომელიც ასე გამოიყურება:

- მერაბ ჭანუყვაძე** (ბლოკი „ქართული ოცნება“) -69,11 %;
- შალვა თავდიშვილი** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) -20,62 %;
- მინდია კეჭაყვაძე** (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) -10,28%.

ქ. ოზურგეთის მერის არჩევნების მეორე ტური ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება

ცეცხლოვ ამჟამინდელი მონაცემებით ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატებმა ხმების შემდეგი რაოდენობა დააგროვეს:

- ირმა კვაჭანტირაძე** (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) - 2,79%;
- პასა ჩავლეშვილი** (ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია) -11,91%;
- ლევან გოგუაძე** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) -9,28 %;
- შოთა გოგიბერიძე** („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) -21,99%;
- ლაშა მირიანაშვილი** (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“) -0,22%;
- ივანე ტაბატაძე** (სალომე ზურაბიშვილი -საქართველოს გზა) -17,41 %;
- მირზა ჩხიკვიშვილი** (საქართველოს ლეიბორისტული პარტია) - 2,53 %;
- ბებლარ სიორიძე** (ბლოკი „ქართული ოცნება“) - 33,87 %.

ბებლარ სიორიძის განცხადება



დიდი მადლობა ოზურგეთის მხარდაჭერისთვის. მადლობა იმ ხმებისთვის, რომელმაც მე ქალაქის აბსოლუტურად ყველა უბანში გამარჯვება მომიტანა. ამ გამარჯვებას კიდევ უფრო დასაფასებელს ხდის მაღალი კონკურენტული გარემო და ჩემი ოპონენტების მხრიდან გაერთიანებული ძალებით შეტევა „ქართული ოცნების“ კანდიდატის წინააღმდეგ. მიღებული მაღალი შედეგი მძლევს იმის სტიმულს, რომ უფრო მეტი ენერჯითა და პასუხისმგებლობით მივუდგე მეორე ტურს და უფრო დიდი იმედებით მივემზადო თქვენთან ერთად გამარჯვებისთვის.

ჩემთვის მთავარია, რომ უდიდესი მხარდაჭერა მივიღე არა პარტიული ნომენკლატურისგან, არამედ უშუალოდ ხალხისგან. მე თქვენ არასდროს მიგატოვებთ.

მეორე ტური, რომელიც ოზურგეთის გარდა საქართველოს კიდევ ბევრ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში უნდა ჩატარდეს, სხვა არაფერია, თუ არა იმის ცალსახა დემონსტრირება, რომ ქართული ოცნება“ ქვეყანაში დემოკრატიულობის მაღალ სტანდარტს აწესებს. მეორე ტური აუცილებლად ისევე სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩაივლის, როგორც პირველი ტური ჩატარდა. ოღონდაც, ვისურვებდი, წინა ტურისგან განსხვავებით, ადგილი არ ქონდეს ოპონენტების მხრიდან მიზანმიმართულად, ადამიანის ღირსების შეურაცხყოფელ განცხადებებსა თუ ბრალდებებს. 15 ივნისის შედეგამაც აჩვენა, რომ ოზურგეთი მხარს არ უჭერს სიყალბეს, ღვიწფორმაციას და უღირს ქმედებებს.

კულოცავ გამარჯვებას ჩემს მეგობარს, კოალიცია, ქართული ოცნების, კანდიდატს მერაბ ჭანუყვაძეს. მჯერა, ეს 4 წელი იქნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინსვლისა და წარმატების წელი.

დასასრულ, მინდა ჩემს ოზურგეთის მიუულოცო არჩევნების დემოკრატიულად და საერთაშორისო ნორმებით ჩატარებას.

დარწმუნებული ვარ, არჩევნების მეორე ტურში ჩემი ოზურგეთი გაორმაგებული ძალით დამიდგება გვერდით და კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატები დამაჯერებლად გავიმარჯვებთ არა მარტო ოზურგეთში, არამედ მთელ საქართველოში.

alion.ge

შოთა გოგიბერიძე ამერიკის ელჩს მიმართავს



გასულ შაბათს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატმა პატრიოტთა ალიანსიდან შოთა გოგიბერიძემ ჟურნალისტებთან განცხადება გააკეთა, რომელშიც მან 19 ივნისს, გურიის გუბერნატორთან გაართული შეხვედრის გამო თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა.

მისი თქმით, გუბერნატორთან რეგიონის ხელისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოების, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელების და რაც ყველაზე საგანგაშოა, არჩევნების მე-2 ტურში მონაწილე სახელისუფლებო კანდიდატების, ბებლარ სიორიძის და ლანჩხუთის გამგებლობის კანდიდატის ზაზა ურუშაძის ყოფნა თავიანთ შტაბის ხელმძღვანელებთან ერთად.

„გურიამი კვლავ ცდილობენ უკან, ერთპარტიული დიქტატურისკენ და პოლიციისთვის პოლიტიკური ჟანდარმერიის ფუნქციის დაბრუნებისკენ შეგვებრუნონ, კვლავ უფსკრულისკენ მიგვაქანებენ.“

გოგიბერიძემ ხაზი გაუსვა, რომ ერთად არიან ოპოზიციის წარმომადგენლები და აღნიშნა, რომ დარბაზში ქ. ოზურგეთის მერობის წინა ტურის კანდიდატები კახა ჩაველეშვილი, მირზა ჩხიკვიშვილი და ვანო ტაბატაძის მხარდამჭერები ისხდნენ. გოგიბერიძე თვლის, რომ არჩევნების შედეგით „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ვერ გახდება საკრებულოს თავმჯდომარე.

ყველანაირი მაღალბრივი მცდელობა ვანსადალ მოაზროვნე გურიის საზოგადოების მიმართ აუცილებლად შექმნის სამოქალაქო დაპირისპირების საფუძველს. ეს კი არ იქნება მისაღები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, რომელმაც რამდენიმე დღეში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას უნდა მოაწეროს ხელი.

გოგიბერიძე მოვლენების ასეთი განვითარების პრევენციისთვის ქვეყნის პრემიერ მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს და ამერიკის ელჩს მიმართავს.

„უმორჩილესი თხოვნით მივმართავ ამერიკის ელჩს საქართველოში, ბატონ რიჩარდ ნორლანდს, რომელიც აკვირდება საქართველოში მე-2 ტურის მიმდინარეობას. საქართველოს ხელისუფლების მსჯელობის საგნად მოიაზროს ოზურგეთში განვითარებული წინასაარჩევნო პროცესი და მისთვის ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდოს ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ გურიის რეგიონში დემოკრატიული განვითარების ჩანასახშივე მოსაპოების მცდელობებს. მისი თქმით, იგი მალე პარტიის ხელმძღვანელებთან და სხვა კანდიდატებთან ერთად ამერიკის ელჩს შეხვდება.“

გოგიბერიძე მოვლენების ზედმეტი დრამატიზებისა და სამოქალაქო დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით, ბებლარ სიორიძეს შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებისა და კანდიდატურის მოხსნის შესახებ მოუწოდებს.

alion.ge

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი +15+23 23 ივნისი ორშაბათი	წვიმა +16+24 24 ივნისი სამშაბათი	მზა-ღრუბელი +18+27 25 ივნისი ოთხშაბათი	მზა-ღრუბელი +18+25 26 ივნისი ხუთშაბათი	მზა +19+29 27 ივნისი პარასკევი	მზა +18+29 28 ივნისი შაბათი	წვიმა +16+24 29 ივნისი კვირა
---	--	--	--	--	---	--

საქართველოში წმინდა ნინოს უმეობრძანების დღეს აკურთხეს მქადის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი



2014 წლის 1-ივნისი უაღრესად მნიშვნელოვანი და ისტორიული დღე გახლდათ, გურიის რეგიონისა და ექაღის მოსახლეობისათვის. ამ ულამაზეს უბანში, რომელიც მალედიან გადმოსცქერის ქალაქს, აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოედინება-მარჯვნიდან ბუჩუი და მარცხნივ აჭის წყალი, ისინი აქვე უერთდებიან ერთმანეთს-წმინდა გიორგის ტაძრის მოპირდაპირედ, რომელიც აქვეა აღმართული თავისი ულამაზესი გუმბათით. იგი ყოველგვარი სიკეთის მომტანი სიბოთით გადაჭყურებს ზემოდან ქალაქს. სამხრეთით ტაძარს ამშვენებს ექაღის ულამაზესი, მწვანეში ჩაფლული ტყე-პარკი. ჩრდილოეთით კი ამ ზღაპრული სილამაზის ფონზე, გასცქერი ამაყად ზეცად აზიდულ გომისა და ბახმაროს მთებს.

ამ უმშვენიერეს კუთხეში დავიბადე და აღვიზარდე. მიუხედავად იმისა, რამოდენიმე ათეული წელია ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ ქ.

ბათუმში, ღვთისგან კურთხეულ ჩემს კუთხესა და ახლობლებთან ყოველთვის მქონდა ურთიერთობა. ჩემი წინაპრების გადმოცემით, ამავე ადგილზე იდგა ადრე საუკუნეებში აგებული, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში, დაუნგრევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ.

აქვე სიამაყის გრძობით მინდა აღვნიშნო, რომ დანგრევამდე, აღნიშნულ ტაძარში მღვდელთ მსახური გახლდათ ჩემი წინაპარი - (პაპა) ნიკოლოზ სურგულაძე. და აი 70 წლის შემდეგ იმავე ადგილზე, ტაძრის ნანგრევებზე, კვლავ აიგო ახალი ტაძარი, ისევ წმინდა გიორგის სახელობისა.

5-წლის განმავლობაში შენდებოდა აღნიშნული ტაძარი, იგი უშუალოდ დამოუკიდებლად დააფინანსა ექაღის მკვიდრმა ჩემმა უახლოესმა პიროვნებამ, მამიდაშვილის გურამ კონტრისის და ნორა კონტრისის ვაჟიშვილმა, პლატონ და ნინო კონტრისების შვილიშვილმა, უკრაინაში მოღვაწე ბიზნესმენმა, - ბატონმა მერაბ კონტრისმა. იგი ორ ათეულ წელზე მეტია ცხოვრობს ოჯახთან ერთად უკრაინაში.

მერაბ კონტრისე ოჯახით - მეუღლე - ქალბატონი ირმა ლომინაძე, შვილები - თეკლა და გიორგი კონტრისები. ასევე უკრაინიდან სპეციალურად ამ ზეიმზე ჩამობრძანებული არაერთი საპატო სტუმარი. სტუმრების შემობრძანებისთანავე ტაძრის ეზოში გაისმის საეკლესიო ზარების განუწყვეტელი ემოციების მომგვრელი რეკვა, რომელსაც თან მოჰყვა ქართული საგალობლები და მრავალყამიერი, მოწვეული ანსამბლების შესრულებით. დამსწრე საზოგადოებაზე, ემოციებისა და სიხარულის ცრემლის გარეშე არ ჩაუვლია ამ ზეიმს.

უწმიდესმა და უნეტარესმა - საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა ტაძარი დალოცა იქ მობრძანებული ყველა პიროვნება და სრულიად საქართველო.

ტაძრის გახსნაზე პატრიარქთან ერთად ჩამობრძანებული იყვნენ: - ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი - მეუფე დიმიტრი, ბოლნისის ეპარქიის ეპისკოპოსი - მეუფე სვიმონი, სამტრედია - ხონის ეპისკოპოსი - მეუფე საბა, მარაბდის ეპისკოპოსი - თადეოზი, სხვა საეკლესიო და საერო პირები.

სტუმრებთან, საზეიმო - რიტუალს დაესწრნენ გურიის გუბერნატორი - ბატონი გიორგი ჩხაიძე, ბიზნესმენები - ოზურგეთის მკვიდრი ბატონი ვანო ჩხარტიშვილი და ბატონი თემურ ჭყონია. საზეიმო წირვის შემდეგ საქართველოს პატრიარქმა - უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ - წმინდა გიორგის ოქროს სამკერდე ხატი გადასცა მიტროპოლიტ მეუფე იოსებს - ასევე - დამფინანსებელ აღმაშენებელს - ბატონ მერაბ კონტრისეს.



ბიზნესმენი მერაბ კონტრისი



ცარო სურბულაძე

მადლობა უფალს, რომ ინება და კვლავ იმავე ადგილზე აიგო ახალი ტაძარი. მადლობა უწმიდესსა და უნეტარეს-ილია მეორეს, რომელიც დღენიდავ იღვწის, ქართულ-ეროვნული სულიერების, ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნებისათვის. მისი უდიდესი ღვაწლითა და ძალისხმევით აიგო და აღდგენილი იქნა, არა ერთი ეკლესია-ტაძარი, მისი დაუღალავი მოღვაწეობითა და ინიციატივით, უამრავი ქართული, სულიერად ამაღლებისა და მართლმადიდებლობის გაძლიერების საქმიანობა განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში.

1-ივნისს დილაადრიანად დიდი სამზადისა ტაძრის ეზოში, სტუმრების მოლოდინში, ტაძრის კურთხევასა და საზეიმო ვითარებაში გახსნაზე.

აქვე ტაძრის ეზოსა თუ მიმდებარე ტერიტორიაზე, უამრავ ადამიანს მოუყვია თავი. მათ შორისაა კონტრისების გვარის წარმომადგენლები, ასევე მერაბ კონტრისის უახლოესი ნათესავები: აქვეა მამიდა გუგული კონტრისე ოჯახით-შვილები: თემური, ელგუჯა, შვილიშვილები მაია და ნინო გოგატაძეები, რძალი ნუცი კობალაძე. აქვეა ტაძრის აღმშენებელი-დიდოსტატი ბატონი ზურაბ გუჯაბიძე.

მასპინძლები მღვდვარებით ელოდებიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს-ილია მეორეს - და აი გამოჩნდა პატრიარქი თანმხლებ სტუმრებთან ერთად. მათ შორისაა ბატონი

2007 წელს, როცა მიწვეული ვიყავი ისრაელში ჩემი ახლობლების მიერ, წმინდა მიწაზე მოვილოცე თითქმის ყველა სალოცავი, მათ შორის ქ. ლოდში წმინდა გიორგის ტაძარი, სადაც დაკრძალულია წმინდა გიორგი - საჩუქრად გადმოცემს წმ. გიორგის ხატი, რომელიც ამ ტაძრის გახსნის დღეს გადაეცემა შესაწირად ამავე ტაძრის მოძღვარს - მამა ნოეს.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, ბატონ მერაბ კონტრისეს, ბატონ ზურაბ გუჯაბიძეს და თითოეულ იმ პიროვნებას, რომლებიც შრომობდნენ 5 წლის განმავლობაში ამ დიდებული ტაძრის მშენებლობაზე, მადლობა მათ სრულიად ოზურგეთის მოსახლეობისა და ყველა მართლმადიდებლის სახელით.

უფალს ვთხოვ მსგავსი მეცნატები, როგორც მერაბ კონტრისე, კიდევ არა ერთი მოგვევლინოს, რათა ეკეთებინოთ ჩვენი ქვეყნისთვის მსგავსი სასიქაღლო საქმენი.

ცარო სურბულაძე
დამსახურებული ოურისტი

წარსულიდან წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად ვთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულთადესი მადლობა განვუცხადო დროებით ს. პეტერბურგში მცხოვრებს თავად ივანე ალექსანდრეს ძე ნაკაშიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს ექაღის წმიდის გიორგის ეკლესიას ერთი მშვენიერი გარდამოსხნა თავის ფარჩის გადასაფარებლით, ორი ხელი ფარჩის სრული სამღვდლო შესამოსელი, ორი მთავარ-დიაკონისა, ერთი ხელი დიაკონისა და ერთი ემბაზი ფრანკს ფაბრიკისა, ღირებული სულ 700 მანეთად.

ოზურგეთი, **სოლომონ ღუბაძე**
გაზეთი „ივერია“, 1890 წ.
16 ივნისი, №126, გვ.3.

სოფელი მქადია

ეს სოფელი დგაბზუს საზოგადოებაზეც არის მიწერილი. ადგილ-მდებარეობა მშვენიერი აქვს. ექაღია თავისი მდებარეობით წარმოადგენს თითქმის განგებ გაკეთებულ გორაკს, რომელიც დამშვენებულია სხვადასხვა ხეხილებით. აქა იქ კოხტად გამოჭიმული ოდა-სახლები ხომ სულ უფრო აორკეცებს ექაღის მშვენიერებას. სულ ამ სოფელში სამოცდაათამდე კომლი ირიცხება. თავად - აზნაურობას ნაკლებ შეხვედებით. ერთ - ერთი ამათ სიმდიდრეს სიმინდი შეადგენს, რომლის ფასიც ძალზედ დაცემულია. აყენებენ კარგ ღვინოსაც, მაღალი ხის ყურძნისგან (ჩხავერი)...

ს.ექაღია სულ ერთი ვერსის მანძილზეა დაშორებული ქალაქ ოზურგეთზედ. ოზურგეთიდან რომ სამხრეთ - დასავლეთით გაიხედავთ, შენიშნავთ მაღალ გორაკიდან გადმოქცეულ ექაღის წმ. გიორგის ეკლესიას. ეს ეკლესია ახალია და ქვისა. სივრცით იგი მეტია წინააღმდეგ ეკლესიაზედ. გორაკს, რომელზედაც ეს ეკლესია არის აგებული, სამხრეთითგან ქვის კიბე აქვს მიშენებული, რომელსაც პირდაპირ ეკლესიის გალავანში მიჰყვება. გალავანი ქვიტიკირისა არის. ეს ახალი ეკლესია ააგო თავისი დაუღალავი მხნეობით, შრომითა და მეცადინეობით ადგილობრივმა მღვდელმა მამა სნ. დუმბაძემ. აილო ჯოხი და გაუდგა გზას ფულების მოსაკრებლად. შემოიარა თითქმის მთელი საქართველო და ახლო-მახლო ქალაქებიც, მაგალითად ასტრახანი და სხვ. სადაც ფეხით ვერ მისწვდა, იქ თხოვნი მიმართა მის უსამღვდელოეობას სახელმწიფო იმპერატორსაც, აგრეთვე იოანე კრონშტანტელს, იენაკ-ძეს და სხვებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ასეთი კეთილი საქმიანობის, როგორც არის ეკლესიის აგება და გამშვენიერება. მწვად წარმოსადგენია იმდენი შრომა, სიარული, ხან სიცივესა და ხან პაპანაქება სიცივის ატანა, რაც გამოიარა ს. დუმბაძემ თავისი აზრის განხორციელებისათვის. თვით ექდიელები ძალიან მადლიერნი არიან თავისი მღვდლისა და დიდ პატივს სცემენ საერთოდ.

გიტულიშვილი.
გაზეთი „ივერია“, 1897 წ.
11 ოქტომბერი, №211, გვ. 3.



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბანკარბულება №47

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 20 ნოემბრის №96 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის თანახმად:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა“-ში და იგი დამტკიცდეს თანდართული გეგმის თანახმად.
2. აღნიშნული ცვლილებების შედეგად გეგმაში დამატებული 2014 წლის 5 ივნისის სტიქით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
3. ზემოაღნიშნული გეგმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარედგინოს კონკურენციას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.
4. აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა, №14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **აპოანდოილ სურგულაძე**
13 ივნისი 2014 წელი

ბანკარბულება №48

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გასხვისებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად:

1. დაკმაყოფილდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (2014 წლის 12 ივნისის №503) მოთხოვნა და ეკლესია მონასტრების მშენებლობისათვის უსასყიდლოდ გადაეცემისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებისთვის და სტიქიის შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მიეცემა ზიანის სალიკვიდაციო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების კრძოლ, სტიქიის შედეგად დაზიანებული და ამორტიზირებული მწვანე ნარგავების გასხვისებისთვის, მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცეს თანხმობა.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გასასხვისებელი) ძირითადი ქონების ნუსხა თან ერთვის დანართის სახით.
3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას:
 - ა) განასხლოს დაზიანებული ტერიტორია მწვანე ნარგავებით;
 - ბ) მოამზადოს და გააფორმოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გასხვისებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია;
 - გ) დაიცვას „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები;
4. განკარგულება დანტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **აპოანდოილ სურგულაძე**
13 ივნისი 2014 წელი

ბანკარბულება №49

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების/მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის 2205-III დადგენილების

1. შეიქმნას მუნიციპალიტეტის სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) კომისიის თავმჯდომარე: ავთანდილ სურგულაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
 - ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ავთანდილ მეტეხიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
 - გ) კომისიის წევრები:
 - გა) ლამა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და ორდინულ საკითხთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
 - გბ) ნინო ერქომაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
 - გგ) თამარ კოლერაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი საკადრო მომსახურების საკითხებში;
 - გდ) ნათია ლომჯარია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში
 - გე) ელიკო დოლიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების უფროსი;
 - გვ) ლილი როცვა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში;
 - გზ) მარინა დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
 - გთ) მზა ნინიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
 - გი) მარინა გორდელაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
 - გი) თინათინ ლომჯარია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორდინული სამსახურის უფროსი;
 - გლ) თემური გიორგაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი;

- გმ) თემური მურვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დეველოპმენტის სამსახურის უფროსი;
 - გნ) ამირან ვირკელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვებისა და მატერი-ალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
 - გო) დავით ვორდელაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვებისა და მატერი-ალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
 - გპ) ბაგვა ჩხარტიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
2. სალიკვიდაციო კომისია ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სალიკვიდაციო აქტს. სალიკვიდაციო აქტში აისახება მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ნუსხა, აწვევ მუნიციპალიტეტის სხვა დოკუმენტაცია და საქმისწარმოების მასალები. ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების შესახებ საკრებულოს განკარგულება და მასზე თანდართული დოკუმენტები წარმოადგენს სალიკვიდაციო აქტის ნაწილს.
 3. სალიკვიდაციო კომისია უზრუნველყოფს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოებში არსებული დოკუმენტაციის აღწერას, დაარქივებას და შენახვას, ინვენტარიზაციის მასალების შემოწმებას და, საჭიროების შემთხვევაში, ქონების დასაცავად ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას (ქონების მარკირება, დალუქვა და ა.შ.).
 4. სალიკვიდაციო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ლიკვიდაციის თანმდევი პროცედურის დასრულებამდე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.
 5. სალიკვიდაციო კომისია სალიკვიდაციო აქტს წარუდგენს ახალი მუნიციპალიტეტების გამგებელს/მერს, რაც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.
 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, იორიძის ქ.№14)
 7. განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **აპოანდოილ სურგულაძე**
13 ივნისი 2014 წელი

ბანკარბულება №50

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის „ოზურგეთის სერვისცენტრი“-ს (ს/კ.437060797) მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 144 მუხლის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 38-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად:

1. დასრულდეს რეორგანიზაციის პროცესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის - „ოზურგეთის სერვისცენტრი“-ს (ს/კ.437060797) მიმართ.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის - „ოზურგეთის სერვისცენტრი“-ს (ს/კ.437060797) რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნას იმავე მიზნების მქონე ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი: თვითმმართველი ქალაქი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „ოზურგეთის სერვისცენტრი“ და თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“.
3. თვითმმართველი ქალაქი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „ოზურგეთის სერვისცენტრი“-ს და თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“-ს დამფუძნებელად განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
4. განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით.
5. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და ორდინულ საკითხთა განყოფილების უფროსის ლამა თავაძეს (პირ.№33001005191).
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, იორიძის ქ.№14).
7. განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **აპოანდოილ სურგულაძე**
13 ივნისი 2014 წელი

ბანკარბულება №51

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“-ს (ს/კ.237105976) მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 144 მუხლის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 38-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად:

1. დასრულდეს რეორგანიზაციის პროცესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის - „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“-ს მიმართ.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირის - „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“-ს (ს/კ.237105976) რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნას იმავე მიზნების მქონე ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი: თვითმმართველი ქალაქი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“ და თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „სათემო მუნიციპალური კულტურის ცენტრი“.
3. თვითმმართველი ქალაქი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“-ს და თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი - „სათემო მუნიციპალური კულტურის ცენტრი“-ის დამფუძნებელად განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
4. განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით.

ბანკარბულება მ-7 გვირგვინი



